



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპრეზიდო



გ ა ნ გ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 192

“ 25 ” ივნისი 2019 წ

## ა. თბილისი

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ქუჩა N14,N16 /ქ. თბილისში, დიღომში, მეაბრეშუმეობის ტერიტორიაზე, დავით აღმაშენებლის მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: № N01.72.14.013.841; N01.72.14.013.670) განაშენიანების რეგულირების გეგმის ჩეკმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 მაისის №19.512.716 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებული იქნას ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ქუჩა N14,N16 /ქ. თბილისში, დიღომში, მეაბრეშუმეობის ტერიტორიაზე, დავით აღმაშენებლის მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: № N01.72.14.013.841; N01.72.14.013.670) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.urban.tbilisi.gov.ge](http://www.urban.tbilisi.gov.ge) რეგისტრირებული №01190223729-67 (01191062982-67 - 16.04.2019) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6)

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქ. თბილისი, დიღომი, მეაბრეშუმეობის ტერიტორია, დავით აღმაშენებლის მე-12 კმ  
(საკადასტრო კოდი: № N01.72.14.013.841; N01.72.14.013.670)

მრავალფუნქციური კომპლექსის

(შ.კ.ს „თეგეტა მოტორსის“ სერვის ცენტრი)

განაშენიანების რეგულირების გეგმის

გეგმარებითი დავალება

თბილისი

2019 წელი

## გეგმარებითი დავალების შინაარსი

|       |  |    |
|-------|--|----|
| 1.    | გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველი .....  | 3  |
| 1.1   | ტერმინთა განმარტება .....  | 3  |
| 1.2   | საკანონმდებლო საფუძვლები და განცხადების რეკვიზიტები .....  | 3  |
| 1.3   | ამოსავალი პირობები .....   | 6  |
| 2     | ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები .....   | 7  |
| 2.1   | გასათვალისწინებელი ქალაქითმშენებლობითი სტანდარტები .....   | 7  |
| 2.1.1 | გასათვალისწინებელი ტექნიკური რეგლამენტები .....  | 7  |
| 2.2   | ტერიტორიის დახასიათება .....   | 7  |
| 2.3   | შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან .....  | 7  |
| 2.4   | სივრცით მოცულობითი გადაწყვეტა; მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დაწყევა და გადატანა, ან მათი სივრცით-გეგმარებითი მოწყობის შეცვლა .....   | 8  |
| 2.5   | მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა .....  | 9  |
| 2.6   | მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტულების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა) ..... | 9  |
| 2.7   | ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობების განსაზღვრა .....   | 10 |
| 2.8   | მშენებლობის წევართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროება .....  | 10 |
| 2.9   | ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა .....  | 11 |
| 3     | ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები .....   | 12 |
| 3.1   | საპროექტო ტერიტორიის არეალი .....  | 12 |
| 3.2   | არსებული ქალაქითმშენებლობითი პარამეტრები .....   | 12 |
| 3.3   | დასაშვები ფუნქციური ზონის სახეობები .....  | 12 |
| 3.4   | ტერიტორიის განვითარების დასაშვები ქალაქითმშენებლობითი პარამეტრები .....  | 13 |
| 3.5   | განაშენიანების რეგულირების ხაზები .....  | 13 |
| 4     | განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგში - გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი .....   | 13 |
| 5     | შენიშვნები .....   | 15 |

## 1. გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველი

### 1.1 ტერმინთა განმარტება

დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები განმარტებულია „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებულ „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მირითადი დებულებების თაობაზე“ ტექნიკურ რეგლამენტში, რომლის მიხედვითაც მირითადი ტერმინები, გეგმარებითი დავალება და განაშენიანების რეგულირების გეგმა, განიმარტება შემდეგნაირად:

გეგმარებითი დავალება – დაგეგმვის უფლებამოსილების მქონე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ერთობლიობა, რომლებიც ადგენს დაგეგმვის ამოცანებს, პარამეტრებს და ტერიტორიულ ფარგლებს, აგრეთვე დაგეგმვის და მისი განხორციელების ეკოლოგიურ, ტექნიკურ, საორგანიზაციო და სხვა პირობებს;

განაშენიანების რეგულირების გეგმა – ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მიწათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან/და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

### 1.2 სამართლებრივი საფუძვლები და განცხადების რეკვიზიტები

განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკანონმდებლო საფუძვლები

1. ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 75-ე მუხლის „ე“ პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტი);
2. საქართველოს კანონი „სავრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“;
3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესები (მე-9 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტები);
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-16 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის დებულება (მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი);
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულება N19.512.716 (15/მაისი/2019);
6. წინასაპროექტო კვლევა;

## **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური**

7. ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილი - N01191084103 (18.04.2019)
8. ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წერილი - N01191091017 (19.04.2019)

განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

### **კანონი**

1. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქითმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“;

განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების შემუშავების სახელმძღვანელო სამართლებრივი დოკუმენტები

### **საქართველოს კონსტიტუცია**

### **კანონი**

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
2. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
3. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
5. „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
6. საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქითმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“;
7. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“;
8. „საავტომობილო გზები შესახებ“ საქართველოს კანონი.

### **მთავრობის დადგენილება/მინისტრის ბრძანება**

1. ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მირითადი დებულებები“;
2. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილება;
3. „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილება;
4. „ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N51 დადგენილება;
5. “საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011

**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური**

- წლის 18 თებერვლის N1-1/251 ბრძანება;
6. „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის „შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N365 დადგენილება;
  7. „ქალაქ თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის N4173 დადგენილება;
  8. „სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს № 308/ნ ბრძანება;
  9. „ტექნიკური რეგლამენტის – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილება;
  10. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება;
  11. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილება;
  12. „საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონებისა და სანიტარიული კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 6 ოქტომბრის N234/ნ ბრძანება;
  13. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილება.

**განცხადების რეკვიზიტები**

|  |   |
|--|---|
| განცხადება                             | 01190223729-67, 22.01.2019<br>(01191062982-67, 16.04.2019)                              |
| განმცხადებელი                          | დაცვით პაპიძე<br>რომეო ესართია  |
| ობიექტის მისამართი/<br>ადგილმდებარეობა | ქ. თბილისი, დილომი, მეაბრეშუმეობის ტერიტორია,<br>დაცვით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. |
| მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდები       | 01.72.14.013.841<br>01.72.14.013.670  |

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

### 1.3 ამოსავალი პირობები

| ფუნქციური დანიშნულება                           | მრავალფუნქციური კომპლექსი  |
|---|--|
| ფუნქციური გამოყენება                            | საზოგადოებრივ-საქმიანი<br>შ.ა.ს „თეგატა მოტორსის“ სერვის ცენტრი<br>(საოფისე, საგამოფენო, სასაწყობე, დამხმარე, კომერციული)  |
| ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა                     | გეგმარებითი კარკასი (გვ) - ქალაქის ცენტრალურ, შუალედურ და პერიფერიულ ზონებში ქალაქის მატერიალური გარემოს ათვისების მაღალი ხარისხის სტრუქტურული ელემენტი, რომელიც ყალიბდება საერთო საქალაქო/რაიონული მნიშვნელობის სატრანსპორტო/საფეხმავლო ქუჩების/გზების გასწვრივ<br><br>პერიფერიული ზონა (პზ) - დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი; |
| განსაკუთრებული რეგულირების ზონა                 | სამშენებლო   |
| კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს დამცავი ზონა | -  |
| სპეციალური რეჟიმები                             | -  |
| არქეოლოგიური უბანი/ობიექტი                      | -  |
| ნორმატიული ფასის ზონა                           | უბანი - დავით აღმაშენებლის ხეივანი;<br>ქვეუბანი - -<br>ზონის ნომერი - 142;<br>ნორმატიული ფასი - 102 ლ;<br><br>უბანი - დიღომი;<br>ქვეუბანი - დიღმის საცდელი მეურნეობა პირველი ზოლი;<br>ზონის ნომერი - 10;<br>ნორმატიული ფასი - 70 ლ;  |
| გეგმარებითი შეზღუდვები                          | ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს 100 მ; 200 მ და 500 მეტრიანი შეზღუდვის არეალი.  |

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

## 2 ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები

### 2.1 გასათვალისწინებელი ქალაქთმშენებლობითი სტანდარტები

- საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება N1-1/251-ის მიხედვით მოქმედი ნორმა: СНиП 2.07.01-89 ქალაქთმშენებლობითი სტანდარტების და წესების შესახებ;
- სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, 2016 წლის სარეკომენდაციო დოკუმენტი „განაშენიანების რეგულირების გეგმის სტანდარტი“.

#### 2.1.1 გასათვალისწინებელი ტექნიკური რეგლამენტები:

- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების“ ტექნიკური რეგლამენტის (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილებით);
- 2017 წლის 01 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაეგმარებაზე და მშენებლობაზე;
- სკოლებისა და ბაღების დაგეგმარებისას დაცულ იქნას საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №485 „ტექნიკური რეგლამენტის – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №485 „ტექნიკური რეგლამენტის – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“.

### 2.2 ტერიტორიის დახასიათება

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, დიღომში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კბ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდით: № 01.72.14.013.841; 01.72.14.013.670), რომლის საერთო ფართობია 42 617 კვ.მ. მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). არსებული მდგომარეობით საპროექტო და მიმდებარე ტერიტორია მდებარეობს ძირითადად საზოგადოებრივი ფუნქციებით განვითარებულ, ჩამოყალიბებულ, მოწესრიგებულ განაშენიანებიაში. მიმდებარე ტერიტორია გამოირჩევა აქტიური სავაჭრო და კომერციული ობიექტების სიხშირით და წარმოადგენს მაღალი დასაქმების არეალს.

## ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

სამშენებლო მიწის ნაკვეთების ძირითადი ნაწილი არის ხე-ნარგავებისაგან თავისუფალი და წარმოადგენს მარტივ რელიეფს, ასევე უზრუნველყოფილია სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მომიჯნავედ. შესაბამისად მასზე ვრცელდება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს 100 მ; 200 მ და 500 მ. შეზღუდვის არეალები.

### 2.3 შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან

- საპროექტო ობიექტები დაგეგმარდეს გრგ პროექტით განსაზღვრულ სექტორების საზღვრებში იმგვარად, რომ არ სცდებოდეს გრგ დავალებით დადგენილ საპროექტო არეალს;
- წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მუხლი 26-ის (მიწის ნაკვეთის გამოჯვენა) თანახმად, რომლის შესაბამისად მომზადებული საკადასტრო გეგმები შემდგომში იქნება მშენებლობის ნებართვის გაცემის საფუძველი;
- დაგეგმარების დროს მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული და დაცული ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს 100 მ; 200 მ და 500 მეტრიანი შეზღუდვის არეალები და საგარეო საქმეთა სამინისტროს N3/911-17 წერილით განსაზღვრულ სპეციალურ მოთხოვნები; (იხ.დანართი).
- დაცულ იქნას საპროექტო ტერიტორიაზე, დავით აღმაშენებლის ხეივნის მხარეს, დადგენილი განაშენიანების რეგულირების ხაზი. (იხ.დანართი).

### 2.4 სივრცით მოცულობითი გადაწყვეტა; მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გადატანა, ან მათი სივრცით-გეგმარებითი მოწყობის შეცვლა

- საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პროექტის გათვალისწინებით მოხდეს ტერიტორიაზე არსებული შენობების დაშლა და ტერიტორიიდან გატანა;
- აღქმის წერტილები, დომინანტები და სილუეტი განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

## 2.5 მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა

- მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა რეგულირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ V თავის თანახმად;
- საზოგადოებრივი საზღვარი: დადგინდეს საპროექტო არეალში შემავალი მიწის ნაკვეთების საზოგადოებრივი საზღვრ(ებ)ის მხრიდან;

მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: განისაზღვრება ფორმულით  $H=L/Y$ , სადაც:

$H$  - განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის ნიშნულს;

$L$  წარმოადგენს დაშორებას შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეს ან/და სამეზობლო საზღვარს შორის.

$Y$  = წარმოადგენს კოეფიციენტს, რომლის მნიშვნელობაა:

- ა) 0.35 დასახლებათა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონებისათვის;
- ბ) 0.25 სამრეწველო ზონებისათვის;
- გ) 0.4 ყველა სხვა ზონისათვის.

## 2.6 მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტუტების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა)

- ტერიტორიის სამშენებლო განვითარება განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, ქვეყანაში და დედაქალაქში დადგენილი სამართლებლივ-ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე;
- დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;
- შენობების განთავსების ადგილები განისაზღვროს საინჟინრო გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად;
- გრგ-ს პროექტის სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს მესაკუთრ(ეებ)ის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამტკიცებლად მომართვა უნდა განახორციელოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებმა ან მინდობილმა პირმა, შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით;

## *ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურგანული განვითარების საქალაქო სამსახური*

- საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილი იქნეს განახლებული საკადასტრო გეგმები და ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს იპოთეკარის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა;
- გრგ-ს პროექტის დამტკიცების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს გრგ-ს პროექტში შემავალი მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა - ამონაწერ(ებ)ი საჯარო რეესტრიდან; იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე შპს-ა, მაშინ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და პასუხისმგებელი პირის/პირების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა.

## *2.7 ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობების განსაზღვრა*

- დაცული იქნას საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ისათვის დადგნილი მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კ-3 კოეფიციენტი;
- სარეკრეაციო ტერიტორიების გეგმა წარმოდგენილი უნდა იყოს სარეკრეაციო სივრცეების იერარქია, ტიპები, გამოყენების სახეობები, საზღვრები და მითითებული უნდა იქნეს მათი საპროექტო დასახელებები. წარმოდგენილი უნდა იქნეს მათი მოწყობისათვის საჭირო ღონისძიებათა ჩამონათვალი;
- მაქსიმალურად შენარჩუნებული იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები, ხოლო მათი მოჭრის ან გადარცვის აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან;
- წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი და გამწვანების დენდროლოგიური პროექტი:
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;
- გამოიყოს ტერიტორიები წაგვის ყუთების განსათავსებლად შესაბამისი ტექნიკური სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც უნდა დაზუსტდეს გრგ-ს ეტაპზე;
- მოწყოს ლიფტები და პანდუსები უნარშეზღუდული პირების ეტლების გადასაადგილებლად;

## *2.8 მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობა*

- ნებართვის გაცემის თითოეულ სტადიაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება. სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ცვლის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის არსს, უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის

*ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური*

ფორმატი. საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება;

- საპროექტო ტერიტორიის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საჯაროობის უზრუნველყოფას („საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, მუხლი 6; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მირითადი დებულებები“ მუხლი 24).

**2.9 ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა**

- განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;
- დაგეგმილი განაშენიანება უზრუნველყოფილი იქნეს მოქმედი რეგლამენტების მიხედვით დაგეგმარებული საინჟინრო, სატრანსპორტო და სხვა სახის ინფრასტრუქტურით;
- დაცული იქნეს არსებული საინჟინრო კომუნიკაციებიდან და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი ნაგებობებიდან საპროექტო კომპლექსის განთავსების ნორმები, ხოლო მათი გატანის აუცილებლობის საკითხი შეთანხმდეს შესაბამის მფლობელებთან;
- გათვალისწინებული იქნეს ხაზოვანი ნაგებობების (წყალსადენი, გაზსადენი, ელექტრო სადენი, წყალარინების სადენი და სხვა) სქემა, როგორც პროექტში, ასევე, ყველა საჭირო რუკაზე;
- გრგ-ს პროექტით განისაზღვროს სპეციალური ადგილები საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად (წყალსადენი, გაზსადენი, ელექტრო სადენი, წყალარინების სადენი და სხვა);
- გრგ პროექტში წარმოადგინეთ საპროექტო ტერიტორიის ყველა საინჟინრო კომუნიკაციისთვის (წყალსადენი, გაზსადენი, ელექტრო სადენი, წყალარინების სადენი და სხვა) ძირითადი და ლოკალური ხაზობრივი ნაგებობები შესაბამისი კატეგორიის ხაზობრივი ნაგებობა და დაცვის ზოლი, პარამეტრების ცხრილი, აგრეთვე, ცალკეული მიწის ნაკვეთებისთვის (მათი არსებობის შემთხვევაში) განკუთვნილი სიმძლავრეები;
- მონაცემები და სქემები საინჟინრო ინფრასტრუქტურის შესახებ წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი უწყებებიდან (თანდართული ოფიციალური წერილით - მხოლოდ საპროექტო ტერიტორიისთვის), სადაც დატანილი იქნება მათი ტრასა შესაბამისი პარამეტრების ცხრილით და განვითარების პოტენციალით;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

### 3 ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები;

#### 3.1 საპროექტო ტერიტორიის არეალი

საპროექტო ტერიტორიის არეალი და ფართობი წარმოდგენილი საკადასტრო ერთეულების თანახმად შეადგენს 42 617 კვ.მ.

#### 3.2 არსებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები

„დედაქალაქის მიწათსარებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე დადგენილი ფუნქციური ზონებია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2;

საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) — მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გვ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს;

განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არა უმეტეს შენობის საერთო ფართობის 25%-ის;

| განაშენიანების რეგულირების პარამეტრები |  |                 |                        |
|--|--|-----------------|------------------------|
| 3-1                                    | 0,5 * / 0,7  | კოეფიციენტი     |                        |
| 3-2                                    | 4,6  | კოეფიციენტი     |                        |
| 3-3                                    | 0,2  | კოეფიციენტი     |                        |
| საცხოვრებელი სიმჭიდროვე                | -  | ერთეული/ჰა      |                        |
| მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები       | მინიმალური ფართობი<br>მინიმალური სიგანე<br>მინიმალური სიღრმე | 700<br>20<br>30 | კვ.მ<br>მეტრი<br>მეტრი |
| შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე   | -  | მეტრი           |                        |
| შენიშვნა                               | * მრავალბინარი საცხოვრებელი სახლისთვის                       |                 |                        |

#### 3.3 დასაშვები ფუნქციური ზონის სახეობები

საპროექტო ტერიტორიაზე დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციები უნდა განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად.

### ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) — მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გვ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს;

განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამუშაოების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არა უმეტეს შენობის საერთო ფართობის 25%-ის;

| განაშენიანების რეგულირების პარამეტრები |  |                 |                        |
|--|--|-----------------|------------------------|
| 3-1                                    | 0,5 * / 0,7  | კოეფიციენტი     |                        |
| 3-2                                    | 4,6 *  | კოეფიციენტი     |                        |
| 3-3                                    | 0,2  | კოეფიციენტი     |                        |
| საცხოვრებელი სიმუდროვე                 | —  | ერთეული/ჰა      |                        |
| მიწის ნაკვეთის<br>ფართობი და ზომები    | მინიმალური ფართობი<br>მინიმალური სიგანე<br>მინიმალური სიღრმე | 700<br>20<br>30 | კვ.მ<br>მეტრი<br>მეტრი |
| შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე   | —  |                 | მეტრი                  |
| <b>შენიშვნა</b>                        | * მრავალბინანი საცხოვრებელი სახლისთვის                       |                 |                        |

შენიშვნა: განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) დაზუსტდეს გრგ-ს ეტაპზე; მაქსიმალური კოეფიციენტის ათვისების უფლების გარეშე.

### 3.4 განაშენიანების რეგულირების ხაზები

ა) განაშენიანების რეგულირების ხაზები, (წითელი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით. წითელი ხაზები შენობათა განთავსებისთვის სავალდებულო ინსტრუმენტია და უნდა პასუხობდეს გეგმარებით დავალებას, ან გრგ მიზნებს;

ბ) განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით. ლურჯი ხაზები შენობათა განთავსებისთვის არასავალდებულო ინსტრუმენტია და უნდა პასუხობდეს გეგმარებით დავალებას, ან გრგ მიზნებს.

## 4 განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგში - გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ალბომი მოიცავს:

- ალბომის სატიტულო მოთხოვნები: (ყდა, სატიტულო გვერდ(ებ)ი, საკვალიფიკაციო გვერდი; სარჩევი);

**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური**

2. სამართლებრივი აქტი (განაშენიანების რგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ბრძანება ან დადგენილება ან განკარგულება);
3. გეგმარებითი დავალება;
4. გეგმარებით დავალებაში ცვლილება (არსებობის შემთხვევაში);
5. გამოყენებული შემოკლებები (გამოყენებული ტერმინების შემოკლებები და მათი გაშიფრა);
6. გამოყენებული პირობითი აღნიშვნები (რუკებზე მოცემული პირობითი სიმბოლოების გრაფიკული და ტექსტური გაშიფრა; ზონირების ნაწილში მგგ დადგენილი ფერები);
7. გრაფიკული ნაწილის წუსხა (ცხრილის სახით გეგმების, რუკების, სქემების ან/და ილუსტრაციების ჩამონათვალი, შესაბამისი აღნიშვნებით ან/და წუმერაციით);
8. დაგეგმვის მიზანი და ამოცანები (რა სახის და შინაარსის გარემოს ფორმირებას ემსახურება გრგ; რა გარემოებები იქნა გათვალისწინებული გადაწყვეტებში და რა გამოწყვევებს პასუხობს გრგ);
9. სივრცით ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები (ზონაში უძრავი ქონების წებადართული გამოყენების სახეობები; შესაბამისი განაშენიანების რეგულირების პარამეტრები; განსხვავებული პარამეტრები ან/და გამოყენების სახეობები; შენობათა განთავსების განსხვავებული წესი);
10. დაგეგმვის ეფექტური განვითარების (ხეირიანობის) შეფასება (swot) ანალიზი (დაგეგმვის შედეგად ხარჯების გადანაწილების პირობები და მათი სამომავლო შედეგები (ეფექტი); პროექტის განხორციელების სარგებლივობა კვრძო და საჯარო ინტერესების ჭრილში);
11. მშენებლობის განხორციელების ეტაპები და რიგითობა;
12. გეგმარებითი დავალების საწყისი საკადასტრო მონაცემები (საკადასტრო გეგმები);
13. სიტუაციური გეგმა;
14. ტოპოგრაფიული გეგმა (1:5000-დან 1:10000-მდე);
15. საპროექტო ტერიტორიის საზღვრების რუკა;
16. ფოტოსურათები (თარიღის მითითებით);
17. ფოტოფიქსაციის სქემა;
18. ტექნოგენური საფრთხეების ზონირება;
19. ბუნებრივი საფრთხეების ზონირება;
20. სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირება;
21. გეგმარების შეზღუდვების ზონირება;
22. ტერიტორიული-სტრუქტურული ზონირება;
23. ფუნქციური ზონირება;
24. გეგმარების შემზღვდავი კონკრეტული ზონირება;
25. ტერიტორიის სტრუქტურული კონკრეტული ზონირება;
26. მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა;
27. დადგენილი ფუნქციური ზონების და გამოყენების სახეობების (ობიექტები და ფუნქციები) გეგმა;
28. მიწის ნაკვეთის კ-1, კ-2, კ-3 დადგენის გეგმა;
29. შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლის ან/და სართულიანობის დადგენის გეგმა;
30. მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობის და ზომების დადგენის გეგმა;
31. მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების გეგმა;
32. ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობის დადგენის გეგმა;
33. მიწის ნაკვეთების დეტალური რეგლამენტების დოკუმენტი;
34. ავტოსადგომების განაწილების გეგმა;
35. საპროექტო ტერიტორიის მომრაობის ორგანიზების სქემა მიმდებარე ქუჩებთან კავშირის ჩვენებით და პარამეტრების (მათ შორის ტროტუარის) მითითებით;

## ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

36. წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
37. წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიაზე სახანძრო ჰიდრანტების მოწყობის გეგმა;
38. ელექტრომომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
39. გარე განათების ქსელის სქემატური ნახატი;
40. ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკა;
41. სანიაღვრე წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
42. გამწვანების დენდროლოგიური გეგმა;
43. ვერტიკალური გეგმარება;
44. ვიზუალიზაცია;
45. ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა;
46. საჯარო რეესტრის ამონაწერები და თანხმობის აქტები;
47. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასკვნა (საჭიროების შემთხვევაში).

## 5 შენიშვნები:

1. გრგ-ს პროექტის შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნეს ტერიტორიის არსებული მდგომარეობის ამსახველი წინასაპროექტო კვლევის მონაცემები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-2 თავის 8-ე მუხლისა და ამ გეგმარებითი დავალების მოთხოვნების შეასაბამისად;
2. განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამტკიცებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის მასალები AutoCAD ან ArchiCAD, PDF ფორმატში ატვირთული იქნეს პორტალზე <https://urban.tbilisi.gov.ge> განაშენიანების რეგულირების გეგმის ელექტრონული განცხადების კატეგორიაში, ნომერიატურა: განაშენიანების რეგულირების გეგმა. საკოორდინატო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს WGS 1984 UTM Zone 38N-ს.
3. გრაფიკული ნაწილის მასშტაბები უნდა შეესაბამებოდეს გეგმარებითი დავალებით დადგენილს, რაც შეიძლება დაზუსტდეს ან შეიცვალოს დაგეგმვის საჭიროების მიხედვით;
4. გრაფიკული ნაწილის მასშტაბების დიაპაზონი არის 1:500-1:5000;
5. გრგ ნახაზებზე გამოიყენება რიცხობრივი მასშტაბი. სურვილისამებრ შესაძლებელია დამატებით ხაზოვანი მასშტაბის გამოყენება.

### დამატებითი ინფორმაცია:

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებული პროექტი და საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს დამკვეთმა ან დამპროექტებელმა (დამკვეთის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსხურში.

წინამდებარე გეგმარებითი დავალება მაღალია მისი გაცემის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



**განკარგულება - N 19.512.716  
15 / მაისი / 2019 წ.**

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, ჯონ (მაღაზაზ) შალიგაშვილის ქუჩა N14,N16 /ქალაქ თბილისში, დიღღმში, მეაბრეშუმეობის ტერიტორიაზე, დავით აღმაშენებლის მე-12 კმ -ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: № N01.72.14.013.841, N01.72.14.013.670) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის მოწოდების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2019 წლის 22 იანვარს N01190223729-67 (01191062982-67 - 16.04.2019) განცხადებით მიმართა ბეთანდილ წერტყმა (პ/ნ 01013007102) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, ჯონ (მაღაზაზ) შალიგაშვილის ქუჩა N14,N16 /ქალაქ თბილისში, დიღღმში, მეაბრეშუმეობის ტერიტორიაზე, დავით აღმაშენებლის მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.013.841; N01.72.14.013.670) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, დიღღმში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.013.841; №01.72.14.013.670), საერთო ფართობი 42 617 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების მე-2 მუხლის მიხედვით, წერილობითი დასტურის/მშენებლობის ნებართვის გაცემის ორმელიმე სტადიის ან/და ტერიტორიული-სტრუქტურული დოკუმენტების დამუშავებისა ან/და მათში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინამდებარე დადგენილების ამტკიცებამდე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება უნდა მიღებულ იქნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების წარდგენი რეის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ამავე კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამავე დადგენილების 74-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ ობიექტებზე, რომლებზეც ამ დადგენილების ამტკიცებამდე დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების მიზნით და საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული, ვრცელდება წინამდებარე დადგენილებით მოქმედი რეგულირება.

მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსტ-2).

არსებული მდგომარეობით, საპროექტო და მიმდებარე ტერიტორია მდებარეობს ძირითადად საზოგადოებრივი ფუნქციებით განვითარებულ, ჩამოყალიბებულ, მოწესრიგებულ განაშენიანების სამშენებლო მიწის ნაკვეთების ძირითადი ნაწილი არის ხე-ნარგავებისაგან თავისუფალი და წარმოადგენს მარტივ რელიეფს, ასევე უზრუნველყოფილია სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით.

საპროექტო წინადადებით დაგეგმილია მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე არსებული შპს თეგეტა მოტორის სერვისი ცენტრის გაფართოება, რომელიც გელისხმობს საოფისე, საგამოფენო, სასაწყობე, დამშენებელი, კომერციული ფართოების დამატებას, ერთი და ორსართულიანი ძირითადი შენობა-ნაგებობებისა და დამსახურებელი უსაძირგვლო ტიპის ნაგებობების შენებლობას.

საპროექტო ტერიტორია ვითარდება მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსტ-2) შესაბამისად, თუმცა დაგეგმვის მიზნებიდან გამომდინარე, არ არის ათვისებული ზონისთვის მინიჭებული მაქსიმალური განაშენიანების ინტენსივობის კ-2 პოვიტივული სივრცით-გეგმარებითი გადაწყვეტები მორგებულია არსებულ განაშენიანებას და არ იღვევა ჩამოყალიბებილი განაშენიანების სტრუქტურა.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს, ამერიკის შეერთებული შტატების საედნოს მომიჯნავედ. შესაბამისად, მასზე ვრცელდება ამერიკის შეერთებული შტატების საედნოს 100 მ; 200 მ და 500 მ. შეზღუდვის არეალები, რომლის მიხედვითაც:



ა) საელჩოს შენობის საზღვრიდან 100 მეტრის მანძილზე არ იქნეს დაშვებული ამაღლებული სააგრომობილო და სარკინიგზო სახები;

ბ) საელჩოს შენობის საზღვრებიდან 200 მეტრის მანძილზე არ იქნეს დაშვებული შემდეგი სახის მშენებლობები:

- ბენზინის/პროპინის/დიზელი გასამართი სადგურები;
- მძიმე მრეწველობის სავაჭრო კომპლექსები;
- დიდი მოცულობის სავაჭრო კომპლექსები;
- 10 მეტრზე მაღალი შენობები (შენობებს უნდა ჰქონდეს დახრილი სახურავები და ფანჯრები არ უნდა გადმოჰყურებდეს საელჩოს შენობას);
- დიდი სატრიუმო ავტომანქანების სადგომი და ავტომანქანების ბაზარი (მათ შორის დიღმის ავტობაზრობა);

გ) საელჩოს შენობის საზღვრებიდან 201 მეტრიდან 500 მეტრის მანძილზე არ იქნეს დაშვებული შემდეგი სახის მშენებლობები:

• ოთხ სართულზე მეტი საცხოვრებელი/ კომერციული შენობები და შენობები, რომელთა სიმაღლე აღემატება 17 მეტრს (შენობებს უნდა ჰქონდეს დახრილი სახურავები და ფანჯრები არ უნდა გადმოჰყურებდეს საელჩოს შენობას);

დ) საელჩოს შენობის საზღვრებიდან 500 მეტრის მანძილზე არ იქნეს დაშვებული შემდეგი სახის მშენებლობები:

- ბენზინის/ქიმიური ნივთიერებების საწყობი და/ან გამანაწილებელი ნაგებობები;
- სასროლეთი;
- სამსედრო ბაზები;

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ეტაპი ძირითადად მოიცავს კვლევით ნაწილს და საპროექტო ტერიტორიის განვითარების ზოგად და არა კონკრეტულ წინადადებას. შესაბამისად, წარმოდგენილი კონცეფცია არ ეწინააღმდეგება ამტრიტის საელჩოს მოთხოვნებს, ზოლი დეტალური საკითხები, როგორებიცაა ლიობების მოწყობა, გადახურვის ტიპები და ა.შ. დაზუსტდება განაშენიანების რეგულირების გეგმის დეტალური პროექტის შეთანხმების ეტაპზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 19 აპრილის N01191091017 წერილის თანახმად, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის 1<sup>2</sup> პუნქტის და მე-9 მუხლის 5<sup>1</sup> შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროექტის მიხედვით, საოფისე ფუნქციის ფართობი არის 4500 მ<sup>2</sup>, ტრანსპორტზე შემოქმედების შეფასების კვლევის წარმოდგენა არ არის საჭირო. შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 18 აპრილის N 01191084103 წერილის თანახმად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვებითაც, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს დაგეგმილი გამწვანების შესახებ ზოგად მონაცემებს, გამწვანების კოეფიციენტის - კ3 ფართობის მითითებით ( $\text{კ3} = 8\ 523.4 \text{ მ}^2$ ) და ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების წარისხობრივ შეფასებას (ტაქსაცია), რომლის შესაბამისად, განმცხადებელი გეგმავს 66 მირი (№ 13-79), პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი, ჯარსალი პირამიდალური კვიპარონის (დიმეტრი არ აღემატება 25 სმ) გადარგვას. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში,

თანაბმა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დაგაღმენით, გამწვანების დეტალურ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე, შერტყოლი, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ესახეობის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების საგალდებულო წინაპირობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურის მიზანშეწონილად მიაწინა გამწვანების (ფენდროლოგიური) პრეტერის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავის ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერტყოლი ტიპის წიწვოვანი და ფოთლოვანი ზე-მცენარეებით. მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვის ბუჩქებთან და გაბონებთან მიმართვით. ამდენად, მწვანე ნარგავების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგნარიად: 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისფათვის (მაგ, ირმის რქა, ნეკერჩალი (ლეგა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისფათვის. დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობა უნდა შეირჩეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან, გარდა შავი და ელადარის ფიჭვების, ასევე კვიპაროსის სახეობების ხეებისა. ეინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარები, ელადარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მაგნებლებით გამოწვეული დაავადებული, რაც იქვევს მათ დაზიანებასა და ხმისა, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერძობის წარმოქმნის მრავენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩინა გამწვანების პროექტში აღნიშნული სახეობების გამოყენება. დასახურავ მწვანე ნარგავებით დაკავშირებით, ასევე, ვერტვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზადი ხეებია, მათ გააჩინათ საგმარდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვთიარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა ნაგებობების, წყალ-გაცვანილობისა და კანალიზაციის მიღების დაზიანების გამოწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერტვის მტკრვევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პროიოდში ვერტვის ბუსუსოვანი თესლი პარტში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერტვი თავისი პაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგროდეკორატეტული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის აღვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში. ფოთლოვანი ხეების დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხილო, წიწვოვანის შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ნერგის გარშემოწერილობა - არანაკლებ 20 სანტიმეტრი. დაფილებულის მე-9 მეტრის მე-17 მეტრის მისახლების რეგულირების გეგმის შემსავალისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასახელმარებელი ტერიტორია წვდება შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საზღვრებში, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე განაშენიანების მირითადი დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი გამწვანების სივრცეები შესახებ ინფორმაცია;

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქებრეტენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ვ“ და „კ“ ქვეპუნქტების თანაბმად, ქვეყნის მდგრადი განვითარების, მისი კავკასიური, ევროპული და შეოფლიო ინტეგრაციის უზრუნველყოფისათვის სივრცითი მოწყობა და ქალაქებრეტენებლობა ხოლოციელდება შემდეგი პრინციპებით:

ბ) განვითარდეს განსახლების დეცენტრალიზებული და პოლიცენტრული სტრუქტურა; საქმიანობა ტერიტორიების გამოყენებისა და განვითარების თვალსაზრისით იყოს სივრცით-ტერიტორიულად კონცენტრირებული და განვითარების ცენტრების სისტემაზე ორიენტირებული; დაუსახლებელი ტერიტორიების ათვალისწინებასთან შედარებით უპირატესობა მიერიგოს დასახლებათა ტერიტორიების განსახლებასა და ინტენსიფიკაციას;

ვ) დასახლებათა განვითარება ორიენტირებული იქნეს ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბებაზე; სატრანსპორტო მომსახურების ეფექტური განაშენიანებისათვის არაუგრძელებისა და კვანძების შექმნით; პრიორიტეტი მიერიგოს სამოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას;

გ) შენარჩუნდეს და განვითარდეს დაუსახლებელი ტერიტორიების სისტემა; უზრუნველყოფილ იქნეს ნიადაგის, წყლის, ფლორის, ფაუნისა და კლიმატის შენარჩუნება და დაცვა;

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის ქალაქებრეტენებლობისთვის განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალურითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების განვითარების განაშენიანების განახლება-განვითარება. ქალაქ თბილისის ტერიტორიების

განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიული უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით. განაშენიანებული ტერიტორიების ქაღაქთმშენებლობითი განვითარება (რაციონალიზაცია, ინტენსივობის-სიმჭიდროვის ზრდა) დასაშვებია, მხოლოდ არსებული საინჟინრო, სატრანსპორტო და მწვანე ინფრასტრუქტურის დოკუმენტურით დადასტურებული შესაბამისობის ან გაუმჯობესების პირობებში.

წარმოდგენილი წინადადებით, მოთხოვნილია მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დაგენილ საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ში (სსტ-2) საზოგადოებრივი მომსახურების ობიექტის შპს თეგება მოტორსის სერვის ცენტრის მშენებლობა, რომელიც მოიცავს საოფისე, საგამოფენო, სასაწყობო, დამშენებელი, კომერციული ფუნქციებით დატვირთულ ერთი და ორ სართულიან ძირითად შენობა-ნაგებობებისა და დამშენებელ უსაძირკვლო ტიპის ნაგებობებს.

არსებული მდგომარეობით, საპროექტო და მიმდებარე ტერიტორია მდებარეობს ძირითადად საზოგადოებრივი ფუნქციებით განვითარებულ, ჩამოყალიბებულ, მოწესრიგებულ განაშენიანებიაში. სამშენებლო მიწის ნაკვეთები მირითადი ნაწილი არის ხე-ნარგავებისაგან თავისუფალი და წარმოადგენს მატრიც რელიეფს, ასევე უზრუნველყოფილია სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად მიზანშეწონილია. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების ეტაპზე დაცულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შესტაციონი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ასევე N01190223729-67 განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, ჯონ (მაღაზაშ) შალაკაშვილის ქუჩა N14,N16 /ქალაქ თბილიში, დიდოშვილი, მეაბრეშემეობის ტერიტორიაზე, დავით აღმაშენებლის მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (სავადასტრო კოდები: N01.72.14.013.841; N01.72.14.013.670) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი.

2. კონტროლი განვარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს მაია ბითაძეს.

3. ამ განვარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განვარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01191084103  
თარიღი: 18/04/2019  
პინი: 0249

გადამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 16 აპრილის №01191062982-67 განცხადება და დამატებითი დოკუმენტაციის სახით (0119108538-67; 18.04.2019) ატვირთული დენდროლოგიური პროექტი. რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებელის ხეივანში, მე-12 კმ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ: №01.72.14.013.841 და №01.72.14.013.670; ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხს.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს დაგეგმილი გამწვანების შესახებ ზოგად მონაცემებს, გამწვანების კოეფიციენტის - კ3 ფართობის მითითებით (კ3 = 8 523.4 მ<sup>2</sup>) და ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებას (ტაქსაცია). რომლის შესაბამისად, განმცხადებელი გეგმავს 66 ძირი (№ 13-79), პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი, ჰანსალი პირამიდალური კვიპაროსის (დიამეტრი არ აღემატება 25 სმ) გადარგვას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტისათვის დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში, თანახმად საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

დამატებით, გამწვანების დეტალურ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე, გაცნობებთ, რომ შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების საფალდებულო წინაპირობაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშენონილად მიაჩნია გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავის ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის წინვოვანი და ფოთლოვანი ხე-მცენარეებით.

მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბურქებთან და გაზონებთან მიმართებით. ამდენად, მწვანე ნარგავების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: 10-12 კვ. მეტრი | ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის შქაონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, ნეკერჩხალი (ლეკა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წინვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.


დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობა უნდა შეირჩეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან. გარდა შავი და ელდარის ფიქვების, ასევე კვიპაროსის სახეობების ხეებისა.

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელფარისა და შავი ფიქვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დასაცავებები, რაც იწვევს მათ დამიანებასა და ხმობას. დასაცავების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშენონილად არ მიაჩნია გამწვანების პროექტში აღნიშნული სახეობების გამოყენება.

დასარგავ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით. ასევე გაცნობებთ, რომ ვერხვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია. მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰარში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეზონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.

აქვე გაცნობებთ, რომ ფოთლოვანი ხეების დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წინვოვანის შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ნერგის გარშემოწერილობა - არანაკლებ 20 სანტიმეტრი

დამატებით გაცნობებთ, რომ ფადგენილების მე-9 მუხლის მე-17 პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორია ხვდება შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საზღვრებში, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე განაშენიანების ძირითადი დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი გამწვანების სივრცეების შესახებ ინფორმაცია.





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია  
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01191091017

თარიღი: 19/04/2019

პინი: 4296

გადაამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

2019 წლის 16 აპრილის N01191062982-67 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის „1<sup>o</sup>“ პუნქტის და მე-9 მუხლის „5<sup>o</sup>“ შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროექტის მიხედვით საოფისე ფუნქციის ფართობი არის 4500 მ<sup>2</sup>, ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასების კვლევის წარმოდგენა არ არის საჭირო. შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სასმახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





## საქართველო

საგარეო საქმეთა  
სამინისტრო

№ 3/911-77

04. 07. 2007

საქართველო  
სამინისტრო  
იურიდიკული  
ინციდენტი

ქ. თბილისის ეიც-მერს  
ბაგონ მამუკა ახვლედიანს

ბაგონ მამუკა,

ასლი: შინაგან საქმეთა მინისტრის  
მოადგილეს ბაგონ აშირან მესხელს

გაცნობებთ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო საქართველომი ამერიკის მეერთებული შტატების საელჩოს წოდა, რომელიც ეხება საელჩოს უსაფრთხოების საკითხებს. მასში დეტალურად არის აღწერილი ყელა ის საკითხი, რომელთა დარეგულირებაზე მიმართებული მიზანშეწონილად მიაჩნია აშშ-ის მხარეს. კერძოდ, საუბარია ქეემოთ ჩამოთვლილ სპეციურ თხოვნებზე:

ა) საელჩოს შენობის საზღვრიდან 100 მეტრის მანძილზე არ იქნეს დაშებული ამაღლებული საკონტაქტო გრძებიდან სარკინიგზო ხაზები;

ბ) საელჩოს შენობის საზღვრიდან 200 მეტრის მანძილზე არ იქნეს დაშებული შემდეგი სახის მმენებლობები:

- ბეზმინის/პროპარტის/დიმიტრის გასამართი სადგურები;
- მძიმე მრეწველობის საწარმო/გადამამუშავებელი/საწყობები;
- ღიღი მოუწეველობის საეაჭრო კომპლექსები;
- 10 მეტრზე მაღალი შენობები (შენობებს უნდა ჰქონდეს დახრილი სახურავები და ფანჯრები: არ უნდა გაღმოყენებდეს საელჩოს შენობას);
- ღიღი საგეირო აერომანქანების საღეომი და ავტომანქანის ბაზარი (მათ შორის ღიღი აერობამრობა);

ნოდაში აღნიშნულია, რომ შეაბათ-ევირას მანქანები ჩვერდებიან საელჩოს მიშენებულ ტერიტორიაზე, რაც იწევეს საელჩოს სერიოზულ შემფოთებას უსაფრთხოების თვალსამრისით;

გ) საელჩოს შენობის საზღვრიდან 201 მეტრიდან 500 მეტრის მანძილზე არ იქნეს დაშებული:

*9952*

*06.07.07*

|                                  |
|----------------------------------|
| რაც გამოსის გვირის აღმინისტრობის |
| № <i>06/8646</i>                 |
| 05.07.2007 2007                  |

- ოთხ სართულებები მეტი საცხოვრებელი/კომერციული შენობები; და შენობები, რომელთა სიმაღლე აღემატება 17 მეტრს (შენობებს უნდა ჰქონდეს დახრილი სახურავები და ფანჯრები არ უნდა გადმოპყრობდეს საელჩოს შენობას);

დ) საელჩოს შენობის სამღვრიდან 500 მეტრის მანძილზე არ იქნეს დამეჭული:

- ბენზინის/ქიმიური ნივთიერებების საწყობი და/ან გამანაწილებელი ნაგებობები;
- სასროლეოთი;
- სამხედრო ბაზები.

ამასთანავე, ამშ-ის მხარე მაგვმართავს თხოვნით, რომ თუ საელჩოს მიმდებარე გერიგორიამე არსებული შენობების ან მიწის ნაკვეთების მეპატრონები გადაწყველი მათი საკუთრების გაყიდვას ან გაქირავებას იმ უცხოურ კლიენტზე, რომელთაც არა აქვს მეგობრული ურთიერთობა ამშ-ის მთავრობასთან - წინასწარი კონსულტაციები გაეიძიროთ ამშ-ის მხარესთან, ხსენებული საკუთრების რეგისტრაციაშე ან ნებართვის გაცემაშდე.

ე) საელჩოს შენობის სამღვრიდან 2000 მეტრის რადიუსით არ იქნეს დამეჭული:

- კომერციული ან კერძო აეროპორტები.

აღსანიშნავია, რომ ამშ-ის მიერ დასმული საკითხები არ რეგულირდება საქართველო-აშშ-ის ორმხრივი იურიდიული დოკუმენტით და ეუუძნება ამერიკული მხარის უსაფრთხოების დაცვის პროფესიონალურ წარმატებებს.

საქართველოსა და ამშ-ის შორის არსებული სტრატეგიული თანამშრომლობის გათვალისწინებით, გთხოვთ განიხილოთ ამშ-ის გემოაღნიშნული წინადადებები და მოგეაწოდოთ თქვენი დასკვნები, ამერიკული მხარის შემდგომი ინფორმირების მიზნით.

საქართველოს სამართლებრივი მინისტრი


ქადაგიშვილი

მინისტრის მოადგილე


ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია  
ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური



ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია  
ურგანული განვითარების საქალაქო სამსახური



ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია  
ურგანული განვითარების საქალაქო სამსახური



34



პირობითი აღნიშვნები

საპროექტო მოწის ნაკვეთი